4065-15-12-2-202004130902

N 15-12/4065
13/04/2020

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენასთან დაკავშირებით სამსახურებრივი შემოწმების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს ბრალდებულ [redacted] საქმეს, რომლის ცნობითაც, 2020 წლის 3 იანვარს, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, უხეშად დაირღვა მისი საპროცესო უფლებები.

ფაქტობრივი გარემოებები

2020 წლის 4 იანვარს სახალხო დამცველის რწმუნებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულებაში შეხვდა [redacted], რომლის განმარტებით, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნით, 2020 წლის 3 იანვარს, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, მასთან იმყოფებოდა რამდენიმე პირი, რომლებმაც იძულების წესით მისი საკნიდან ამოიღეს პირადი ნივთები. ბრალდებულის გადმოცემით, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს მოითხოვა ადვოკატის დასწრება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ [redacted] ადვოკატი [redacted] იმყოფებოდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების ტერიტორიაზე მასთან შეხვედრის მიზნით. მიუხედავად აღნიშნულისა, აღნიშნულმა პირებმა საგამოძიებო მოქმედებას ადვოკატი არ დაასწრეს (იხ. დანართი).

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა ინფორმაციის მოპოვების მიზნით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულებას, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს.

შინაგან საქმეთა სამინიტროს 2020 წლის 14 თებერვლის N MIA 8 20 00405020 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2019 წლის 28 დეკემბერს გამოიცა №11ა/21236 განჩინება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 პენიტენციური დაწესებულების პირველი სარეჟიმო კორპუსის N84 საკანში მოთავსებული [redacted] მის სარგებლობაში არსებული პირადი ნივთებისა და ტანისამოსის ამოღების თაობაზე, რომლის ჩატარებაშიც ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

2020 წლის 3 იანვარს, 17:52 - 18:10 საათზე, ზემოაღნიშნული განჩინების საფუძველზე, №8 პენიტენციური დაწესებულების პირველი სარეჟიმო კორპუსის N84 საკანში, სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება (ამოღება) (იხ. დანართი).

სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულებიდან მიღებული 2020 წლის 14 იანვრის N10818/25 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ მოსამართლის 2019 წლის 28 დეკემბრის განჩინების საფუძველზე ბრალდებულთან 2020 წლის 03 იანვარს სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლები კერძოდ: [redacted] (15:41 საათიდან 18:42 საათამდე) (იხ. დანართი).

[redacted] მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში (საქმე N010181119001) დევს გამომძიებელ [redacted] 2020 წლის 3 იანვარს შედგენილი ოქმი მასზედ, რომ [redacted] ადვოკატს [redacted] ესაუბრა და აცნობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ ვერ შეძლებდა დასწრებას და განუცხადა - ამოღება ჩატარებულიყო სხვა დროს (ორშაბათს), რაზეც გამომძიებელს უარი არ უთქვამს. მიუხედავად აღნიშნულისა, საგამოძიებო მოქმედება მაინც ჩატარდა 2020 წლის 3 იანვარს, [redacted] ადვოკატის მონაწილეობის გარეშე (იხ. დანართი).

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც, კერძოდ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულებიდან მიღებული 2020 წლის 24 თებერვლის N54780/25 წერილით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2020 წლის 3 იანვარს ადვოკატ [redacted] N8 პენიტენციური დაწესებულებაში შესვლა ფიქსირდება 15:35 საათზე, ხოლო ბრალდებულ [redacted] შეხვედრა დაფიქსირდა 18:15 -18:25 საათზე (იხ. დანართი).

ამავე უწყების 2020 წლის 12 მარტის N73420/25 და 2020 წლის 31 მარტის N88647/25 წერილების თანახმად, 2020 წლის 3 იანვარს 15:35 საათიდან 18:15 საათამდე შუალედში, ადვოკატ [redacted] შეხვედრა N8 დაწესებულების საგამოძიებო ოთახებში ბრალდებულ/მსჯავრდებულებთან არ ფიქსირდება. ასევე, ზემოთ აღნიშნული დროის შუალედში ბრალდებულ [redacted] საკანში მიმდინარეობდა საგამოძიებო მოქმედებები, რაც გახდა ადვოკატის შეყოვნების მიზეზი. რაც შეეხება უშუალოდ დაწესებულებაში ბრალდებულ [redacted] ინტერესების დამცველი ადვოკატის [redacted] ყოფნის ფაქტს, აღნიშნული

ინფორმაცია საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს (გამომძიებლებს) მიეწოდათ დაწესებულების თანამშრომლის მიერ (იხ. დანართი).

სამართლებრივი დასაბუთება

ბრალდებულის საპროცესო უფლებათა შორის ერთ-ერთ ძირითად ადგილს იკავებს დაცვის უფლება, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით,[1] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა[2] და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით.[3]

ბრალდებულს უნდა მიეცეს საშუალება სრულყოფილად მოემზადოს თავისი პოზიციის დასაცავად, რისთვისაც უფლება აქვს ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით. ბრალდებულის უფლება, ჰყავდეს ადვოკატი, მოიცავს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ადვოკატის დასწრების უფლებას, იქნება ეს საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები, თუ სასამართლო პროცესი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი ბრალდებულს აძლევს უფლებას, მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საგამოძიებო მოქმედება მიმდინარეობდა [redacted] მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში და ტარდებოდა მისი კუთვნილი ნივთების ამოღება. იმ დროს, როდესაც ბრალდებულის კუთვნილი ნივთების ამოღება ხდება ბრალდების მხარის მიერ, მნიშვნელოვანია, სურვილის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყოს ადვოკატის დასწრება. [redacted] სურვილი იყო საგამოძიებო მოქმედებას დასწრებოდა ადვოკატი, რათა ესარგებლა მისი მომსახურებით, მიეღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება, უკეთ გაცნობიერებულიყო თავის უფლებებში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მონაწილე პირებისთვის ცნობილი იყო ადვოკატის დაწესებულებაში ყოფნის ფაქტი, ანუ ადვოკატის მონაწილეობა იყო მარტივად ხელმისაწვდომი. გამომძიებლების მიერ მოვალეობათა ჯეროვანი შესრულება და ადვოკატის საგამოძიებო მოქმედებაში ჩართულობა არ გამოიწვევდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გაჭიანურებას, უზრუნველყოფდა [redacted] უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, სრულყოფილი გამოძიების ჩატარებას. ადვოკატის დასწრების შეზღუდვა არ იყო გამოწვეული ობიექტური გარემოებით ან საპატიო მიზეზით.

აღწერილი ფაქტები ცალსახად მეტყველებს, რომ 2020 წლის 3 იანვარს ბრალდებულ [redacted] ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებას (ამოღება) უნდა დასწრებოდა ადვოკატი, ვინაიდან არსებობდა როგორც სამართლებრივი ვალდებულება, ისე - ფაქტობრივი შესაძლებლობა

---

[1] საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მესამე ნაწილით - დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით.

[2] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილით - ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება.

[3] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გარანტირებულია პირის უფლება - დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით.

- ადვოკატ [redacted] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულებაში ყოფნის სახით, რის შესახებაც გამომძიებლებს ეცნობათ პენიტენციური დაწესებულების მიერ.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში ამოღებული ნივთები არ წარგზავნილა სასამართლოში მტკიცებულების სახით, რამაც შეამცირა [redacted] უფლებრივი მდგომარეობის მიმართ მიყენებული ზიანი. თუმცა, ცხადია, რომ გამომძიებელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებას, რაც წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N989 ბრძანების N1 დანართის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ა[1]" ქვეპუნქტით.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 3 იანვარს N8 პენიტენციურ დაწესებულებაში [redacted] მიმართ საგამოძიებო მოქმედების (ამოღების) ჩატარების დროს გამომძიებელთა მიერ ადგილი ჰქონდა სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებას, რაც გამოიხატა იმაში, რომ სამართლებრივი ვალდებულებისა და ფაქტობრივი შესაძლებლობის მიუხედავად, ბრალდებულის მონაწილეობით ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებას არ დაასწრეს მისი ადვოკატი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, შეისწავლოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა - [redacted] - მიერ განხორციელებულ მოქმედებათა მართლზომიერება.

ამასთან, გთხოვთ, მაცნობოთ მოცემული წინადადების განხილვის შედეგები „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 20 (ოცი) ფურცლად.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი